603 № 10278

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 ივნისი, ხუთშაბათი, 1989 წ.
№ 104 (10 028) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## 1 ივნისი ბავშვთა





## დაცვის საერთაშორისო დღეა





## ლიდერთა შორის

**ნარვა.** ბალტიისპირეთის ქვეყნების მრავალდღიანი ველორბოლის „დრუჟბას" მეორე ეტაპის ფინიშზე პირველი მიიჭრა გდრ-ის წარმომადგენელი ფრანკ აუგუსტინი. დისტანცია მან 4:37.57-ში დაფარა. აუგუსტინმა თავის ძირითად კონკურენტებს იან კირსიპუუს (ესტონეთი) და ასიატ საიტოვს (სსრ კავშირის ნაკრები) პეტრეს მოედნის მისადგომებთან გაუსწრო (ფინიში სწორედ ამ მოედანზე იყო მოწყობილი). შევნიშნავთ, რომ ამ ეტაპს სტარტი პუშკინში, საქვეყნოდ ცნობილი ლიცეუმის კედლებთან მიეცა.

რბოლის სამი დღის შემდეგ (კრიტერიუმი და ორი ეტაპი) ლიდერთა ჯგუფში არიან: ა. საიტოვი — 6:46.14, ფ. აუგუსტინი — 6:46.20, ი. მანუილოვი — 6:46.33, ვ. დავიდენკო — 6:46.35, ბ. დიცი (გდრ) — 6:46.37 და ბ. სტენერსენი (ნორვეგია) — 6:46.47. როგორც ხედავთ, თბილისელი ვასილ დავიდენკო ლიდერთან 21 წამს აგებს, უახლოეს მეტოქეს 2 წამით ჩამორჩება.

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობა ხელთ იგდო ესტონეთის ნაკრებმა.

მესამე ეტაპი ნარვა-ტილინი (217 კმ) მოიგო ა. საიტოვმა.

●◆●◆●



**გუშინ** თბილისში, ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი სინქრონულ ცურვაში. ერთეულთა ასპარეზობაში გაიმარჯვა თბილისელმა ხრისტინა ფალასინიდიმ. მან უძლიერესის სახელი, თანაგუნდელ ნინო მაისურაძესთან ერთად მოიპოვა წყვილთა ასპარეზობაშიც.

შეჯიბრების ანგარიში იხილეთ „ლელოს" უახლოეს ნომერში.

## დაჯილდოება

**რესპუბლიკაში** ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და დაბადებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტსახკომმა საპატიო სიგელით და სამახსოვრო ოქროს მედლით დააჯილდოვა ლესელიძის ოლიმპიური მომზადების სასწავლო-სპორტული ბაზის დირექტორი ავთანდილ ვარლამის ძე გასვიანი.

## დოპინგს ქმედით ებრძვიან

**სპორტში** დოპინგის გამოყენების საწინააღმდეგო მოძრაობა საერთაშორისო მოძრაობად იქცა, რომლის მასშტაბი სეულის ოლიმპიადის შემდეგ განსაკუთრებით გაფართოვდა. მეტ სიმძაფრეს იძენს დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენშიც — სსრ კავშირის სპორტსახკომმა მიმდინარე წლის 30 იანვარს საგანგებო დადგენილება მიიღო ამ საკითხზე.

სპორტში დოპინგის გამოყენებისათვის დამატებითი ღონისძიებების გატარების მიზნით საქართველოს სპორტსახკომმა გამოსცა სპეციალური ბრძანება, რომელიც რესპუბლიკის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციებისგან მოითხოვს გააძლიერონ და გაამკაცრონ ღონისძიებები, რომელიც გამორიცხავს სპორტში დოპინგის გამოყენებას.

განსაზღვრულია სასჯელი — პირველ შემთხვევაში 2 წლით დისკვალიფიკაცია, განმეორებით შემთხვევაში სპორტსმენს სამუდამოდ აეკრძალება სპორტში ვარჯიში და შეჯიბრებაში გამოსვლა. თუ სპორტსმენი მიმართავს სიმპატომიმეტიკურ ნივთიერებებს, მიეცემა 6 თვით დისკვალიფიკაცია, განმეორებით შემთხვევაში სპორტს ჩამოაშორებენ 2 წლით, თუ მესამედ შეამჩნევენ — მიეცემა სამუდამო დისკვალიფიკაცია. მწვრთნელების საკითხს, რომელთა აღსაზრდელებს ბრალი დაედებათ დოპინგის შემცველი პრეპარატების მიღებაში, განიხილავს საქართველოს სპორტსახკომი. დოპინგის გამოყენების თითოეული შემთხვევა ეცნობება რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს, შესაბამის სპორტულ საზოგადოებებს და უწყებებს, გამოქვეყნდება გაზეთ „ლელოში".

ბრძანება ითვალისწინებს სპორტსმენთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებას, დოპინგის გამოყენებაზე სისტემატურ კონტროლს. სპორტსმენებს ამორჩევით შეამოწმებენ ყველა რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარების წინ. შედგება შეკრებებისა და შეჯიბრებების სპეციალური განაცხადი, რომლის მიხედვით სპეციალისტები შეამოწმებენ სპორტსმენთა დამოკიდებულებას დოპინგისადმი.

ბრძანების შინაარსი გაეცნობა რესპუბლიკის ყველა ნაკრებ გუნდს.

## პირველი ტურის სიურპრიზები

**პარიზი.** როლან გაროს კორტებზე საინტერესოდ მიმდინარეობს საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. პირველი წრეში რამდენიმე შეხვედრა მოულოდნელი შედეგით დამთავრდა. ერთ-ერთი სიურპრიზი გახლდათ ნატალია ზვერევას მარცხი, რომელიც მესამე ნომრად იყო განთესილი. ზვერევა დამარცხდა იტალიელ რაფაელა რეგისთან 6:3, 6:7 (5:7), 2:6. ფრანს პრესის სააგენტოს მიმომხილველის განცხადებით იტალიელს დიდად დაეხმარა ტრიბუნები, მაგრამ ეს ვერაფერი გამართლებაა ზვერევასათვის, რომელსაც თავისი შესაძლებლობებით სასტარტო შეხვედრა უნდა მოეგო.

პირველსავე წრიდან გამოეთიშა ტურნირს ანდრეი ოლხოვსკიც. მას სამ პარტიაში ესპანელმა ფრანსისკო როიგამ აჯობა — 6:4, 6:3, 6:2.

სხვა მატჩებიდან შეიძლება გამოვყოთ ნატალია მედვედევას გამარჯვება ავსტრალიელ რეიჩელ მაკვილანთან (3:6, 6:3, 6:2), ლარისა სავჩენკოსი — დასავლეთგერმანელ იზაბელ კუეტოსთან (6:0, 7:5) და ანდრეი ჩესნოკოვისა — პერუელ პაბლო არაიასთან (6:4, 7:5, 7:6).

●◆●◆●



## იტალია-90 მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

## სსრ კავშირი — ისლანდია

**გუშინ** მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ისლანდიის ნაკრები გუნდები.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბიში

## 26-ე, 4 გუნდით

**სარაგბო** სეზონი წელს აპრილის შუა რიცხვებში დაიწყო. დაიწყო ყველასათვის, ოღონდ არა ქართველი გულშემატკივრებისათვის. და აი ახლა, ივნისის დამდეგს, „დიდმა რაგბმა" ბოლოს და ბოლოს ჩვენამდეც მოაღწია. ასპარეზობას დანატრებული თბილისელი მაყურებელი „რაგბის კვირეულით" იჯერებს გულს: 3 ივნისიდან 8 ივნისამდე თბილისში ყოველდღიურად გაიმართება საკავშირო ჩემპიონატის თითო მატჩი.

წლევანდელი, XXVI საკავშირო ჩემპიონატი ქართული რაგბისთვის განსაკუთრებულია: ამდენი — ოთხი გუნდი ჩვენს რესპუბლიკას ქვეყნის ჩემპიონატში აქამდე არასდროს გამოუყვანია. ეს, ერთი მხრივ, საქართველოში ამ თამაშის აღმავლობას მოწმობს, მეორე მხრივ კი რაგბით ფართო საზოგადოებრიობის დაინტერესებასაც უწყობს ხელს.

**წლევანდელი** საკავშირო პირველობა ორ — უმაღლეს და პირველ — ლიგად ეწყობა.

**უმაღლეს ლიგაში 12 გუნდია:**

ქუთაისის „აია", თბილისის „ელმავალი", ტაშკენტის „ზვეზდა", ალმა-ათის ასკ, ტირასპოლის „ელექტრომაში", კიევის „ავიატორი", კრასნოიარსკის ეტს, მონინოს სსა, მოსკოვის „ლოკომოტივი", „ფილი", „სლავა" და „სპარტაკი". ისინი სამ ეტაპად იასპარეზებენ. პირველ ეტაპზე (12.04—3.08), ეწყობა ორწრიანი შეჯიბრება (გათამაშდება 22 ტური), რომლის შედეგების მიხედვითაც რვა დაწინაურებული გუნდი ჩემპიონობისათვის გააგრძელებს ასპარეზობას, ოთხი ჩამორჩენილი კი საგაისოდ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძოლებს. მეორე ეტაპის (10.08—3.09) მონაწილენი ორ („ა" და „ბ") ოთხგუნდიან ქვეჯგუფად დაიყოფიან და ახალ ორწრიან შეჯიბრებებს გამართავენ (გათამაშდება კიდევ 6 ტური). ამ ქვეჯგუფებიდან ის ორ-ორი გუნდი, ვისაც პირველი და მეორე ეტაპების მიხედვით უკეთესი მაჩვენებლები ექნება, მესამე ეტაპზე სუპერფინალურ ჯგუფად გაერთიანდება, დანარჩენი ოთხი მონაწილე კი სანუგეშო ჯგუფში მოხვდება. მესამე ეტაპზე (23.09—6.10) გათამაშდება კიდევ 4 ტური და მხოლოდ ამის შემდეგ, მეორე და მესამე ეტაპების 10 ტურში მოგროვილი ქულების გათვალისწინებით, განაწილდება I—VIII ადგილები.

**პირველ ლიგაშიც 12 გუნდია:** ლვოვის „სოკოლი", ხარკოვის ხტზ, ტაგანროგის „რადუგა", დნეპროპეტროვსკის „პრესი", თბილისის ასკ და „მიმინო", ლენინგრადის „ელექტრონმაში", კიევის „პოლიტექნიკი", კრასნოიარსკის „სიბტიაჟმაში", ნოვოკუზნეცკის სმი, იელგავის „რაფი" და შიაულიაის „ვაირასი". პირველ ეტაპზე (15.04—13.07) აქაც ორწრიანი, 22-ტურიანი შეჯიბრება ეწყობა. მეორე ეტაპზე (9.08—14.10) ოთხი ლიდერი უმაღლესი ლიგის ოთხ აუტსაიდერს ორ წრედ (14 ტურად) საგაისოდ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას შეეცილება, დანარჩენი რვა გუნდი კი ამ ეტაპზე (10.08—14.10) პირველ ლიგაში დასარჩენად კიდევ ორ წრედ იას-

იხ. გვ. 2 ბვ



# 26-ე, 4 გუნდით

(დასასრული)

პარეზებს (დამატებით გამართავს 14 ტურს). საბოლოოდ, 36 ტურის შედეგების მიხედვით გამოვლენილ ორ აუტსაიდერს ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველ ახალ გუნდებთან ერთად შესარჩევ ტურნირში (21—29.10) მოუწევს თამაში ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.

## წარმოგიდგენთ საქართველოს გუნდებს

(სტატისტიკა, ინფორმაცია, რეკომენდაცია)

### ქუთაისის „აია“

**საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი (1987 და 1988 წლებში), თასის მფლობელი (1987), საკავშირო ჩემპიონატების ვერცხლისა (1984) და ბრინჯაოს (1985) პრიზიორი, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი (1969, 1978, 1982, 1983-84, 1984-85).**

**ჩამოყალიბდა 1966 წელს. უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს 1979 წლიდან. განვლილ 10 ჩემპიონატში გამართა 261 მატჩი, რომელთაგან მოიგო 136, ფრედ დაამთავრა 16, წააგო 109; მოაგროვა ქულათა 55,17%, რაც საბჭოთა კლუბებს შორის მეექვსე შედეგია. შარშან გუნდმა უმაღლეს ლიგაში დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი.**

**„აია“ საქართველოს მშენებლობის სამინისტროს გუნდია. მეტოქეებს მასპინძლობს ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე და დასავლეთ საქართველოს სარაიონო ცენტრებში.**

გუნდის მთავარი მწვრთნელია **დუგლას კავთელაშვილი**, უფროსი მწვრთნელი — **მურთაზ დადუნაშვილი**, მოთამაშე-მწვრთნელი — **ოლეგ ლიპარტელიანი**, კაპიტანი — **ნუგზარ ძაგნიძე**; გუნდის უფროსია **გიზო ცქიტიშვილი**, ადმინისტრატორი — **ანზორ ალხაზაშვილი**, ექიმი — **მერაბ გაბიძაშვილი**, მასაჟისტი — **თემურ მინდიაშვილი.**

წელს „აიას“ ღირსებას დაიცავენ:

უკანა ხაზის მოთამაშეები — მცველები (№ 15): ნუგზარ ძაგნიძე (22 წლისა), ევგენი ზუევი (29): გარემარბები (№ 14, 11): პაატა ძოწენიძე (20), ოლეგ ქორქოლიანი (28), კახა გაბრიჩიძე (23), ბათლომე ხამაშურიძე (35), ალექსანდრე ჩახავა (17); შუამარბები (№13, 12): ოლეგ ლიპარტელიანი (34), მიხეილ ხარშილაძე (35), ემზარ გეგუჩაძე (23), ზვიჩა გეგელია (19), გოჩა ცხვარაძე (18); გარე ნახევარმცველები (№ 10): ავთო დევისაძე (26), დათო ცქიტიშვილი (17); შერკინების ნახევარმცველები (№ 9): მამუკა ლოსაბერიძე (23), დათო იობიძე (19), არჩილ სოხაძე (19), ლაშა აბაზაძე 18).

მორკინალები—ბურჯები (№ 1, 3): გიორგი ბაბუნაშვილი (25), ალექსანდრე გაბიძაშვილი (26), ნიკოლოზ ნემსიწვერიძე (26), ალექსანდრე ლიკლიკაძე (26), კოტე ჯინჭარაძე (18), გიორგი მინდაძე (17), ზაზა ინაკავაძე (22); ჰუკერი (№ 2) თენგიზ ტურძელაძე (29); მეორე ხაზის მოთამაშეები (№4, 5): ბესარიონ ლილუაშვილი (35), თამაზ ოდიშარია (25), ალექსანდრე ისაკაძე (30), გიორგი წულაძე (21); მესამე ხაზის ფრთის მოთამაშეები (№ 6, 7): ბადრი შვანგირაძე (27), თამაზ ფხაკაძე (23), კახა რუსაძე (22), დათო დვალი (17); შერკინების შემკვრელი (№ 8) ალექსანდრე ნაჭყებია (36).

შეხვედრათა განრიგი: 4.06 ეტს (სტ), 8.06 სსა (შ), 12.06 „ელექტრომაში“ (სტ), 15.06 „ფილი“ (სტ), 17.06 „ლოკომოტივი“ (სტ), 20.06 „ელმავალი“ (შ), 24.06 „ფილი“ (შ), 28.06 „სლავა“ (შ), 1.07 „ზვეზდა“ (შ), 5.07 „ავიატორი“ (სტ), 9.07 „სპარტაკი“ (შ); 13.07 სსა (სტ), 3.08 ასკ (შ.).

„აია“ ბოლო ორი ჩემპიონატის გამარჯვებულია, ამით კი ყველაფერია ნათქვამი. გუნდს უეჭველია, მთელს უმაღლეს ლიგაში უძლიერესი შერკინება ჰყავს. საქმე მარტო მორკინალთა სიმაღლე და წონა როდია; ამ მხრივ მოსკოველი და ციმბირელი მორაგბენი ქუთაისელებს არ ჩამოუვარდებიან, მაგრამ ჩვენი გუნდი მეტოქეებს მაინც ჯობნის გაწაფულობით, უფრო მაღალი კლასით, საკუთარი ძალების რწმენითა და უმაგალითო თავდადებით. გარდა ამისა, „აიას“ ჰყავს რიგიანი უკანა ხაზი და, რაც მთავარია, ძლიერი ტაქტიკოსი და ჩინებული დამრტყმელი ნუგზარ ძაგნიძე — მოთამაშე, ვისაც ხელეწიფება მორკინალთა ძალისხმევით მოპოვებული მცირე უპირატესობა ქულებად აქციოს. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ „აიას“ ბირთვი სადღეისოდ, ცოტა არ იყოს, ჭარბმაგად გამოიყურება და ალბათ თანდათან გაეცლება სარბიელს, ადგილს კი ახალგაზრდობას დაუთმობს; ოღონდაც, ამით გუნდმა არ უნდა იზარალოს.

### თბილისის „ელმავალი“

**საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი (1978), საკავშირო ჩემპიონატების ოთხგზის ბრინჯაოს პრიზიორი (1968, 1972, 1978, 1981), თასის გათამაშების ფინალისტი (1976), საქართველოს სამგზის ჩემპიონი (1968, 1972, 1977).**

**ჩამოყალიბდა 1964 წელს. საკავშირო ჩემპიონატებში ჩაება 1966 წლიდან. 22 წლის განმავლობაში უმაღლეს ლიგაში გამართა 322 თამაში, რომელთაგან 128 მოიგო, 35 ფრედ დაამთავრა, 154 წააგო; კიდევ 5 შეხვედრაში გუნდს დამარცხება ჩაეთვალა; სულ მოაგროვა ქულათა 44,88%, რითაც საბჭოთა კლუბებს შორის მეცხრე ადგილზეა. შარშან გუნდმა ჩემპიონატში მეშვიდე ადგილი დაიკავა.**

**„ელმავალი“ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გუნდია. შინ, თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე მართავს მატჩებს.**

გუნდის მთავარი მწვრთნელია **თემურ ბენდიაშვილი**, მოთამაშე-მწვრთნელი **გაიოზ მონიავა**, კაპიტანი — **მალხაზ ქეიშვილი**, მწვრთნელი ფიზმომზადებაში — **მამია ტუღუში**; გუნდის უფროსია **მურად თოფურიძე**, ადმინისტრატორი — **მერაბ ფერაძე.**

წელს „ელმავალში“ ითამაშებენ:

უკანა ხაზის მოთამაშეები — მცველი (№15), ნიკო ნატროშვილი (18); გარემარბები (№14, 11): ალეკო ხველელიძე (24), ვანო საცერაძე (30), ვალერი მანთიძე (33), გია მეტრეველი (23), ლევან ვასაძე (19), ნუკრი ხვედელიძე (26), ლაშა ვაშაძე (22); შუამარბები (№13, 12): კოკა კლდიაშვილი (23), თენგიზ თავაძე (28); გარე ნახევარმცველი (№10) დათო ჩავლეიშვილი (26); შერკინების ნახევარმცველები (№9): მალხაზ ქეიშვილი (30), ნუგზარ გაბრიჩიძე (26), იგორ ქერაული (23).

მორკინალები — ბურჯები (№1, 3): კახა გიუნაშვილი (21), ზაზა ბაკურაძე (29), მამუკა გაგნიძე (24), დათო შუბითიძე (27), გიორგი გოლაური (18); ჰუკერები (№2); დათო კაკაბაძე (30), ზაზა ძიძაძე (22), ირაკლი ჩიქავა (18); მეორე ხაზის მოთამაშეები (№4, 5): თამაზ ხუადე (24), ბადრი მექვაბიშვილი (26), გია რაფავა (21); მესამე ხაზის ფრთის მოთამაშეები (№6, 7): გაიოზ მონიავა (33), რეზო ჯაფარაშვილი (22), გივი ყუფარაძე (22), ზაზა ლექავა (24); შერკინების შემკვრელი (№8) გია გიუნაშვილი (24).

შეხვედრათა განრიგი: 5.06 სსა (შ), 8.06 ეტს (შ), 12.06 „ზვეზდა“ (სტ.), 17.06 „ფილი“ (შ), 20.06 „აია“ (სტ), 24.06 „ლოკომოტივი“ (შ), 28.06 „სპარტაკი“ (შ), 1.07 ასკ (შ), 5.07 „ელექტრომაში“ (შ), 9.07 „სლავა“ (შ); 3.08 „ავიატორი“ (შ).

„ელმავალმა“ შარშან, როგორც იქნა, თავი დააღწია გაჭიანურებულ კრიზისს და არცთუ ურიგო მეშვიდე ადგილი დაიკავა. მთავარი მაინც ისაა, რომ გუნდმა მეტნაკლებად დაიბრუნა მისთვის ოდითგანვე ნიშანდობლივი თამაშის სანახაობრივი სტილი. ამასთან, „ელმავალი“ ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. წელს გუნდს ერთი მიზანი აქვს — კიდევ უფრო დახვეწოს ოსტატობა და სატურნირო ცხრილში უკეთესი ადგილი დაიკავოს. მიზნის მისაღწევად რკინიგზელებს თითქოს არაფერი უშლით ხელს — გუნდის ბირთვი ახალგაზრდა, მაგრამ მრავალნაცადია, თანაც წელს მორაგბეებს დიღმის კეთილმოწყობილი



საწვრთნელი ბაზაც დაუბრუნეს. ეგაა მხოლოდ, შემადგენლობაში ზოგიერთ ადგილზე მოთამაშეთა ნაკლებობაა, მაგრამ ამ პრობლემას იოლად მოევლება: წამყვანი მოთამაშეები — ქეიშვილი, ხვედელიძე, საცერაძე, ბაკურაძე, ფაქტიურად, უნივერსალები არიან და სხვა ამპლუაშიც ლაღად გრძნობენ თავს.

### თბილისის „მიმინო“

**შეიქმნა ამა წლის დამდეგს. პირველ ლიგაში ასპარეზობს თბილისის „შევარდენის“ მაგივრად, რომელმაც შარშანდელ ჩემპიონატში XIX ადგილი დაიკავა.**

**„მიმინო“ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს გუნდია. მეტოქეებს მიიღებს „ლოკომოტივის“ სტადიონზე და საქართველოს სპორტსახკომის ვარკეთილის კომპლექსის სარაგბო მოედანზე.**

გუნდის მწვრთნელია **რეზო ჩხეიძე**, კაპიტანი — **ვახო კაპანაძე**, გუნდის უფროსი — **თემურ გილაური.**

„მიმინოს“ ასპარეზობის განრიგი: 4.06 „ელექტრონმაში“ (შ), 7.06 „პოლიტექნიკი“ (შ), 14.06 სმი (შ), 17.06 „სიბტიაჟმაში“ (შ), 21.06 „პრესი“ (სტ), 24.06 „რადუგა“ (სტ), 29.06 „რაფი“ (შ), 2.07 „ვაირასი“ (შ), 5.07 ხტზ (შ), 9.07 „სოკოლი“ (შ), 13.07 ასკ (სტ).

„მიმინო“ „შევარდენისა“ და სამოქალაქო [illegible] ბის მოთამაშეთა „შემნაცვლებს“ შედგება. სასიამოვნოა, რომ „შევარდენიდან“ [illegible] ლებიც“ კარგად აუბამენ მხარს, მით უფრო, რომ მათმა ერთმა ნაწილმა 1987 წელს ქართულ რაგბს დიდი ამაგი დასდო, როცა თავდადებული თამაშით „ელმავალი“ უმაღლესი ლიგის დატოვებას გადაარჩინა. და მაინც, ჩვენი აზრით, წელს „მიმინოს“ ამოცანა მოკრძალებულია: რადაც უნდა დაუჯდეს, გუნდი პირველ ლიგაში უნდა დარჩეს, შემდეგ კი, ვინ იცის, ეგებ თბილისის სტუდენტური ნაკრების მაგივრობაც გასწიოს.

### თბილისის ასკ

**საქართველოს ორგზის ჩემპიონი (1985, 1988), შეიარაღებული ძალების პირველობათა მრავალგზის პრიზიორი.**

**პირველად 1977 წელს შეიკრიბა. შარშან წარმატებით იასპარეზა შესარჩევ შეჯიბრებაში და პირველ ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა.**

**გუნდი ეკუთვნის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს. თბილისში შეხვედრებს გამართავს „ლოკომოტივისა“ და ვარკეთილის სტადიონებზე.**

ასკ-ის მწვრთნელია **გურამ მოდებაძე**, კაპიტანი — **მერაბ მარჯანიშვილი**, გუნდის უფროსი — **პავლე გუნიადოვი.**

ასკ-ის მატჩების განრიგი: 3.06 „პოლიტექნიკი“ (შ), 6.06 „ელექტრონმაში“ (შ), 14.06 „სიბტიაჟმაში“ (შ), 17.06 სმი (შ), 21.06 „რადუგა“ (სტ), 24.06 „პრესი“ (სტ), 29.06 „ვაირასი“ (შ), 2.07 „რაფი“ (შ), 6.07 „სოკოლი“ (შ), 8.07 ხტზ (შ), 13.07 „მიმინო“ (შ.).

ასკ თბილისის გუნდებს შორის ყველაზე უკეთაა დაკომპლექტებული, ნიჭიერი მოთამაშეები არ აკლია. მეტიც, ბევრ მათგანს (მარჯანიშვილს, ირაკლი ლეჟავას, ნუგზარ მგელაძეს, ლევან ჩიქვინიძეს, შალვა ჯანელიძეს) ასაკის კვალობაზე ნაადრევადაც კი მოუწია უმაღლესი ლიგის გუნდებში ლიდერობის ტვირთვა. ახლა ამ ყმაწვილებს პირველ ლიგაში ასპარეზობით ერთგვარი სულის მოთქმის, გულდადინჯებული და გეგმაზომიერი ზრდის საშუალება ეძლევათ. ამთავითვე ადვილი წარმოსადგენია, თუ რარიგ გაძლიერდება „ელმავალი“, როცა ჯარის გუნდში დავაჟკაცებული მოთამაშეები მას დაუბრუნდებიან. დღესდღეობით კი ასკ-ს „მარტივი“ მიზანი აქვს: შეძლებისდაგვარად მაღალი ადგილიც დაიკავოს ლიგაში და სათანადო გულისყურიც მიაპყროს თამაშის ხარისხის ზრდას.



**საქართველოს ჟურნალისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე, წყალბურთელთა ტურნირში, როგორც ვიუწყებოდით, აშშ-ის გუნდში გამოდიოდა ცნობილი ამერიკელი მოცურავე ხეულის ოლიმპიადის ოთხი ოქროსა და ერთი ვერცხლის მფლობელი მეტ ბიონდი. ამ ცნობამ ჩვენი გაზეთის მკითხველთა და სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია.**

**დღეს გთავაზობთ „ლელოს“ კორესპონდენტის საუბარს მეტ ბიონდისთან.**

# მეტ ბიონდი

● **მეტ, თქვენი გამოჩენა ამერიკის შეერთებული შტატების წყალბურთელთა გუნდში დიდი მოულოდნელობა იყო ჩვენთვის. რამ განაპირობა ეს ფაქტი?**

— ოლიმპიური თამაშების შემდეგ ნაკრების მწვრთნელმა ბილ ბარნეტმა შემომთავაზა მის გუნდში მეთამაშა. სიამოვნებით მივიღე ეს წინადადება, რადგანაც უნივერსიტეტში სწავლისას წყალბურთელთა გუნდში ვთამაშობდი. მწვრთნელი ჯერჯერობით კმაყოფილია, ვნახოთ, რა იქნება შემდეგში.

● **დღეს თქვენ მსოფლიოს უსწრაფეს მოცურავედ ითვლებით. საინტერესოა, როგორ გრძნობთ თავს წყალბურთელის ამპლუაში? გაქვთ თუ არა პრობლემები?**

— პრობლემები საკმაოდ მაქვს. წყალბურთს თავისი მკაცრი კანონები გააჩნია — მარტო სისწრაფით ფონს ვერ გახვალ. აუცილებელია ბურთის კარგად ფლობა და ზუსტად ტყორცნის ტექნიკა, რაც თავდაუზოგავ ვარჯიშს და დიდ ფიზიკურ ძალას მოითხოვს.

● **თქვენი წყალბურთელთა ნაკრებში გამოჩენა ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ცურვას თავი დაანებეთ?**

— არავითარ შემთხვევაში. მე საკმაოდ ინტენსიურად ვვარჯიშობ ცურვაში და თუ ბედმა გამიღიმა, ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე სპორტის ორ სახეობაში გამოვალ: წყალბურთსა და ცურვაში — 50 და 100 მეტრიან დისტანციებზე.

● **პოპულარულია თუ არა წყალბურთი ამერიკაში?**

—სამწუხაროდ, არა. როგორც იცით, სეულში ჩვენმა წყალბურთელებმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს, მაგრამ ეს გამარჯვება ამერიკაში მხოლოდ ორიოდე კვირა ახსოვდათ, შემდეგ კი ისევ კალათბურთს, ბეისბოლს და ამერიკულ ფეხბურთს მიუბრუნდნენ.

ამერიკელი წყალბურთელი 3000 დოლარს იღებს მთელი წლის განმავლობაში. ეს ძალიან, ძალიან ცოტაა. ოლიმპიადის შემდეგ მათ არავითარი ფულადი ჯილდო არ მიუღიათ. ამიტომ პერსპექტიული ახალგაზრდები იძულებულნი ხდებიან თავი დაანებონ თამაშს და საარსებო წყარო სხვაგან ეძებონ.

● **შეიცვალა თუ არა რაიმე თქვენს ცხოვრებაში სეულის ოლიმპიური თამაშების შემდეგ?**

— ბევრი რამ. გაიზარდა ჩემი პოპულარობა, ადრე ჩემი ცხოვრება თითქმის ორად იყო გაყოფილი: აუზი და სახლი. ოლიმპიადის შემდეგ მრავალ სარეკლამო კონტრაქტს მოვაწერე ხელი. გამიჩნდნენ თაყვანისმცემლებიც. ხშირად მაჩერებენ ქუჩაში და მთხოვენ სურათი გადავიღო მათთან ერთად.

● **კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი გამოსვლით სეულის ოლიმპიურ თამაშებზე?**

— პირადად მე ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ უკმაყოფილო დარჩნენ ჩემი გულშემატკივრები. ოლიმპიადის წინ მარკ სპიტცის მემკვიდრედ მასახელებდნენ და ელოდნენ, რომ 7 ოქროს მედალს მოვიპოვებდი.

● **როგორია თქვენი აზრი იმ სპორტსმენებზე, რომლებიც დოპინგების საშუალებით ცდილობენ წარმატების მოპოვებას?**

— უარყოფითი. სპორტსმენი, რომელიც დოპინგის საშუალებით ცდილობს წარმატების მიღწევას, ემგვანება ცხოველს, რომელიც გასაყიდად გაჰყავთ ბაზარზე და ცდილობენ ყველანაირი საშუალებით მოაწონონ მყიდველს. სულ ცოტა ხანში ასეთი ჩემპიონი გამოუსადეგარ, დაჩუტულ ბურთს ემგვანება, რომელსაც სანაგვეში გადაუძახებენ.

● **ბერკლის უნივერსიტეტში თქვენ პოლიტიკურ ეკონომიას სწავლობდით, აპირებთ თუ არა თქვენი სპეციალობის მომავალში გამოყენებას?**

— პოლიტიკური ეკონომია ჩვენთან ფართო მეცნიერებაა. მე დაინტერესებული ვარ ეკოლოგიით.

● **გაქვთ თუ არა ჰობი?**

— გატაცებული ვარ მებაღეობით. თავისუფალი დროის დიდ ნაწილს ჩემს პატარა ხეხილის ბაღში ვატარებ. მიყვარს ტურიზმი და ალპინიზმი. მიყვარს მუსიკის მოსმენა, განსაკუთრებით „ბითლზების“ და „სანტანის“.

● **როგორც ამერიკელი ახალგაზრდობის უმრავლესობა, თქვენც, ალბათ, დამოუკიდებლად ცხოვრობთ?**

— დამოუკიდებელი ცხოვრება ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლისას დავიწყე. სიმართლე რომ გითხრათ, პირველ ხანებში ძალიან გამიჭირდა. ახლა კი ვცხოვრობ ჩემს მშობლიურ ქალაქ მორაგაში (კალიფორნიის შტატი), მაქვს პატარა ვილა ქალაქგარეთ და, რაც მთავარია, საკუთარი ბაღი.

● **რას იტყოდით ქართველ წყალბურთელებზე?**

— ძალიან მომეწონა თქვენი მეშვიდე ნომერი წყალბურთელი (თამაზ კუტივაძე. რედ.), რომელმაც სწრაფი და მაღალტექნიკური მოთამაშის შთაბეჭდილება დატოვა.

● **რას აპირებთ თქვენი სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ?**

— ახლა 23 წლისა ვარ. ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია. ისე კი დიდი სურვილი მაქვს ცოდნა და გამოცდილება პატარების აღზრდას მოვახმარო.

ესაუბრა
**თემურ ჯიშიაშვილი.**

# საკავშირო სპორტტექნიკურ კომისიაში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის მორიგ სხდომაზე განიხილეს თბილისის „დინამოს" სტადიონზე საკავშირო თასის ნახევარფინალურ მატჩში თბილისის „დინამოსა" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" შორის მომხდარი უწესრიგობის საკითხი.

ინციდენტის მიზეზი ცნობილია: როცა მატჩის არბიტრმა ალიტუსელმა ი. მილიაუსკასმა უხეში თამაშისთვის გააფრთხილა დინამოელი ა. ჭედია, აგრესიულად განწყობილი მაყურებლების ერთი ჯგუფი გადმოცვივდა მინდორზე, მაგრამ წესრიგის დამრღვევი გულშემატკივრები გაიყვანეს მინდვრის ფარგლებს გარეთ, დისციპლინის აღდგენაში პირველნი თვით დინამოელი ფეხბურთელები მონაწილეობდნენ.

თბილისის „დინამოს" კოლექტივისა და სტადიონის ხელმძღვანელებმა საქმიანი, პრინციპული მიდგომა გამოიჩინეს მომხდარი ამბისადმი, ობიექტურად მოახსენეს სინამდვილე სპორტტექნიკურ კომისიას. თამაშის მეორე დღესვე „დინამოს" საფეხბურთო კოლექტივის საერთო კრებაზე გადაწყდა, რომ ფეხბურთელებს, რომლებიც ვერ მოთოკავენ თავიანთ ემოციებს, მკაცრი სასჯელი მოელით და შესაბამისი დისციპლინარული სასჯელებიც გამოიტანეს, კერძოდ, პირველი წრის დასასრულამდე პირობითი დისკვალიფიკაცია მისცეს ფეხბურთელებს ს. ჭედიას, გ. ჯიშკარიანს, გ. კეტაშვილს, კ. ცხადაძეს, კ. გოგიჩაიშვილს.

„დინამოს" სტადიონის დირექტორმა ვ. ელენტმა განაცხადა, რომ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირელებმა ინიციატივა გამოიჩინეს, მათი წინადადებით წესრიგის დასამყარებლად ტრიბუნების ყოველ სექტორზე დაწესდება სტუდენტთა რაზმების სადისციპლინო კონტროლი.

სპორტტექნიკურმა კომისიამ დაადგინა, რომ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივმა სწორად შეაფასა მომხდარი ინციდენტი და შესაბამის ზომებსაც მიმართა. გუნდის ხელმძღვანელების ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ თამაშში მომხდარი ორთაბრძოლების შემდეგ ზოგიერთი დინამოელი ფეხბურთელი სიმულაციას მიმართავს და ამით უკმაყოფილებას იწვევს.

იმის გამო, რომ თბილისის „დინამოს" სტადიონის ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო თამაშის ჩატარების ნორმალური პირობები, სტადიონს პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცა პირველი წრის დასასრულამდე. კომისიამ თხოვნით მიმართა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მკაცრი წესრიგი დაამყაროს საკავშირო თამაშების მსვლელობაზე არა მარტო თბილისის „დინამოს", არამედ რესპუბლიკის სხვა სტადიონებზეც.

● ფეხბურთი

# მკითხველთა წერილების მიმოხილვა

ბევრმა მკითხველმა და სპორტის გულშემატკივარმა ჩათვალა თავი ვალდებულად, თავისი მოსაზრება გამოეთქვა 21 მაისს თბილისის „დინამოს" სტადიონზე „დნეპრთან" საფეხბურთო მატჩის დროს მომხდარი ინციდენტის თაობაზე. რედაქციამ მიიღო უამრავი წერილი, რომლებშიც, სიმართლე უნდა ითქვას, წინა პლანზე წამოწეულია არა ქვეყნის თასის გათამაშების ნახევარფინალში დინამოელთა მარცხით გამოწვეული ჰინანული, არამედ ის თავშეუკავებლობა, რასაც სამარცხვინო ექსცესი მოჰყვა. წერილებში გამოთქმულია იმედი, რომ ჩვენი მაყურებელი არ აჰყვება ემოციებს და საბაბს არ მისცემს იმ ხილულ თუ უხილავ ძალებს, რომლებსაც სწორედ ასეთი არეულობა და გამოხტომები სურთ გამოიყენონ თავიანთი არაჯეთილმოსურნე პოზიციების განსამტკიცებლად. გამოთქმულია რწმენა, რომ „დინამოს" ხელმძღვანელობაც ყველაფერს გააკეთებს გუნდში დისციპლინისა და თამაშის კლასის ასამაღლებლად. ხალხს სჯერა გუნდისა. გთავაზობთ რამდენიმე ამონაწერს მკითხველთა ბარათებიდან: „გაკვირვებული ვარ 21 მაისს „დინამოს" სტადიონზე მოსული მაყურებლის ქცევით. აქვე მინდა მივმართო დინამოელებს — თავშეკავება ყველაფერს სჯობს. თითოეული ფეხბურთელიც და გულშემატკივარიც ვაჟკაცურად უნდა შევხვდეთ წაგებასაც, თუ მატჩში გუნდმა მთელი შესაძლებლობები გამოავლინა" (გიორგი მიქიაშვილი, „დინამოს" საფეხბურთო კლუბის წევრი, ქუთაისი); „სიფრთხილე და თავშეკავება გვმართებს ფეხბურთელებსაც და მაყურებელსაც. კიკნკლაობით და ანგარიშსწორებით ცუდ მაგალითს ვაძლევთ გუნდის ახალგაზრდა გულშემატკივრებსაც. მილიციას ვთხოვთ, ნუ მიუშვებს ნებაზე გაფიცხებულ გულშემატკივრებს, ნუ შეარცხვენინებს მათ ჩვენს ერს" (იბრაგიმ კიზირია, უნივერმაღ „თბილისის" №5 ფილიალის დირექტორი); „ქართველი ხალხი ოდითგანვე უმაღლესი კულტურის მატარებელია და თავის ღირსებას ყოველგვარ ვითარებაში ინარჩუნებდა. როცა „დინამო" ცუდად თამაშობს და მატჩს აგებს, ქალებსაც გვეშლება ნერვები, მამაკაცებზე ნაკლები გულშემატკივრები არც ჩვენ ვართ, დინამოელებო! 21 მაისს არც გუნდი იდგა მოწოდების სიმაღლეზე, არც მაყურებელი" (ვერიკო ვეკუა, თბილისის კიროვის რაიონის მთავარი ექიმის აპარატის თანამშრომელი). ძალზე კატეგორიულია თავის წერილში თბილისელი გულშემატკივარი იუზა დათუაშვილი. როგორც ჩანს, გულისწყრომის წერილი „დინამოს" მისამართით მას ცხელ გულზე დაუწერია. მაგრამ სიამოვნებით გაგაცნობთ წერილის ბოლო წინადადებას, რომლითაც ავტორი „დინამოს" მიმართავს: „ღმერთმა დაგაყენოთ სწორ გზაზე!.."

აი, რას ფიქრობს თბილისელი ვეფხია ქიტიაშვილი: „გული მტკივა იმის გამო, რაც მოხდა ჩვენს სტადიონზე 21 მაისს. პირდაპირ ვთქვათ, სირცხვილი ვჭამეთ! რატომ განაწყენდნენ მაყურებლები? საბაბი ნამდვილად არ ჰქონდათ, ჩვენი გუნდი მთელი მონდომებით თამაშობდა, ამ მონდომებას უნდა დავუჭიროთ მხარი". თბილისის „დინამოს" გულშემატკივართა კლუბის წევრი ნაირა იორამაშვილი მოითხოვს განახლდეს გულშემატკივრების შეხვედრები ფეხბურთელებთან და გუნდის ხელმძღვანელებთან. ეს ორმხრივ სასარგებლოაო, დასძენს წერილის ავტორი.

გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი ელიზბარ ელიზბარაშვილი არ ეთანხმება ბორის მენაბდის წინადადებას (იხ. „ლელო" 23 მაისი), თავშეუკავებელ მაყურებელთა გვარების ტელევიზიით გამოცხადების შესახებ. მისი აზრით, „დინამოელები საკუთარი მაგალითით დაამტკიცებენ, რომ ყოველგვარი უხეშობა უძლურია ჭეშმარიტი ფეხბურთის წინაშე". ხარაგაულელი გივი ორჯონიკიძე მხარს უჭერს პენსიონერ ოთარ გუმბერიძეს (იხ. „ლელო" 23 მაისი). მაგრამ გუმბერიძეს ზოგ საკითხში არ ეთანხმებიან თბილისელები პ. ასათიანი, თ. ჯიჯიეშვილი, კ. და ნ. ძიძიგურები. „მართალია, „დინამო" დიდი შემართებით თამაშობდა, მაგრამ იმ დღეს ფორტუნამ „დნეპრს" გაუღიმა. „დინამოს" წინაალმდეგ ბევრს უთამაშია გამომწვევად, მაგრამ ჩვენს გუნდს რაინდული თავშეკავება გამოუჩენია. ამიტომ უყვართ ჩვენი გუნდი ყველგან" (ალექსანდრე ბენდიანიშვილი — თბილისი).

კვლავ მოდის წერილები, რომლებითაც გულშემატკივრები დინამოელებს მადლობას უთვლიან „სპარტაკთან" მეოთხედფინალურ მატჩში გამოჩენილი ვაჟკაცობისთვის. მათ სჯერათ, რომ ჩვენი გუნდი სწორედ ასეთი თამაშით დაიბრუნებს ავტორიტეტს. „სპარტაკთან" მატჩის გამო დინამოელებს ამაღელვებელი სტრიქონებით მიმართავენ ჯემალ დიასამიძე (იგოეთი), ნ. მელაძე (ყვარელი), ი. გამცემლიძე (თბილისი), გ. ჯაჭვაძე (ახალციხე). თბილისელმა ზინვდიერ ფარქოსაძემ ლექსიც უძღვნა ჩვენს ბიჭებს.

„ლელოს" მკითხველები და ფეხბურთის ჭეშმარიტი გულშემატკივრები ახალი საპასუხისმგებლო მატჩების წინ წარმატებას უსურვებენ ჩვენს დინამოელებს. ამ სურვილს „ლელოს" რედაქციაც უერთდება.

საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XI ტურის შეხვედრები.

**„მეტალურგი" (ზესტაფონი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 3:3. მსაჯი ა. შილაკაძე (თბილისი).** გოლები: ფრუიძე, მშვენიერიძე, ჭულელი („მეტალურგი"), ვებლიანი, სირაძე, ჯანჯალაშვილი (პოლ. ინსტ.).

**„საპოვნელა" (თერჯოლა) — „მადრევანი" (წყალტუბო) 2:2. მსაჯი ვ. ეჯიბაია (თბილისი).** გოლები: კობახიძე, ფანჩულიძე („საპოვნელა"), ფეშტვენიძე, სუხიაშვილი („მადრევანი").

**„მალაროელი" (ჭიათურა) — „არაგვი" (დუშეთი) 3:1. მსაჯი ლ. მენთეშაშვილი (თბილისი).** გოლები: ქველაძე, ტეფნაძე-2 („მალაროელი"), ჯაბნიაშვილი („არაგვი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს გ. ყველაძე („არაგვი"), მსაჯის გადაწყვეტილების უარყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს მისი თანაგუნდელი გ. ციმაკურიძე.

**„სქური" (წალენჯიხა) — „დურუჯი" (ყვარელი) 3:0. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი).** გოლები: კვარაცხელია, ლლონტი, ხუბულია („სქური").

**„ბახტრიონი" (ახმეტა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).** გოლი: ნაბელიშვილი („ბახტრიონი").

**„ივერია" (ხაშური) — „არმაზი" (მცხეთა), 1:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლი: რობაქიძე („ივერია").

**მეორე ჯგუფი**

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი**

„შირაქი" — „გარეჯი" 8:2, „განთიადი" — „ალაზანი" 2:5, „მეტალისტი" — „სამგორი" 2:2, „კახეთი" — „ჰერეთი" 1:1, „გარისი" — თსუ 2:0, სსი-მუხრანი — „აღმაშენებელი"(?) 4:0, „ქიზიყი" — [illegible] 0:1.

**ცენტრალური ქვეჯგუფი**

„მეშახტე" — „აბული" 2:0, „მერთლი" — „მესხეთი" 3:0, „საიმედო"(?) — „განთიადი" 4:0.

**დასავლეთი ქვეჯგუფი**

„ბეთლემი" — „მშენებელი" 0:0, „ეგრისი" — „ოდიში" 4:0, „მეშახტე" — „სუბტროპიკი" 2:2, „იმერეთი" — „დვაბზუ" 3:1.

**7 ივნისს დანიშნული ფიზიკური მომზადებაში ნორმატივების ჩაბარება მსაჯებისთვის გადატანილია. თარიღი გამოქვეყნდება დამატებით.**

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 1 ივნისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მადრევანი" | 10 | 6 | 4 | 0 | 19-6 | 16 |
| „მალაროელი" | 10 | 6 | 3 | 1 | 19-9 | 15 |
| პპი. თბ. | 9 | 5 | 3 | 1 | 26-14 | 13 |
| „მეტალურგი" | 10 | 4 | 5 | 1 | 15-8 | 13 |
| „სპარტაკი" | 9 | 5 | 2 | 2 | 16-9 | 12 |
| „სქური" | 10 | 5 | 2 | 3 | 16-13 | 12 |
| „ამირანი" | 8 | 4 | 3 | 1 | 15-8 | 11 |
| „მზიური" | 9 | 3 | 4 | 2 | 11-11 | 10 |
| „სიონი" | 9 | 4 | 1 | 4 | 16-14 | 9 |
| „სამეგრელო" | 9 | 4 | 1 | 4 | 10-17 | 9 |
| „დინამო" ზ. | 7 | 3 | 2 | 2 | 14-8 | 8 |
| „დინამო" გ. | 8 | 3 | 2 | 3 | 16-18 | 8 |
| „საპოვნელა" | 10 | 3 | 2 | 5 | 13-16 | 8 |
| „დურუჯი" | 10 | 3 | 1 | 6 | 10-21 | 7 |
| „არმაზი" | 10 | 2 | 3 | 5 | 8-12 | 7 |
| „სულორი" | 8 | 2 | 3 | 3 | 12-13 | 7 |
| „ივერია" | 10 | 2 | 3 | 5 | 12-17 | 7 |
| „არაგვი" | 10 | 2 | 2 | 6 | 10-19 | 6 |
| ფიზკ. ინსტ. | 10 | 2 | 0 | 8 | 12-21 | 4 |
| „ბახტრიონი" | 10 | 1 | 2 | 7 | 8-24 | 4 |

# საფეხბურთო კავშირის თასზე

დასასრულს მიუახლოვდა სსრკ საფეხბურთო კავშირის თასის გათამაშება უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

VI ტურში „ა ჯგუფში" ერევნის „არარატმა" ანგარიშით 1:0 დაამარცხა დნეპროპეტროვსკის „დნეპრი", ხოლო ლენინგრადის „ზენიტისა" და ვოლგოგრადის „როტორის" შეხვედრა ფრედ დამთავრდა —0:0.

„ბ" ჯგუფი. „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 1:2.

„ც" ჯგუფი. „შახტიორი" (დონეცკი) — „დინამო" (კიევი) 1:0, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 0:1.

„დ" ჯგუფი. „დინამო" (მინსკი) — „დინამო" (თბილისი) 3:0. თბილისელებმა მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს: ხაპოვი (ჭანტურია), თ. ყიფიანი, დიმიტრაშვილი, მაჭავარიანი, გელაძე, ჯამარაული, ნემსაძე, არველაძე, ხვადაგიანი, კაჭარავა, კერძევაძე (გუჯაბიძე).

„დ" ჯგუფიდან თასის შემდგომ ეტაპზე მონაწილეობის უფლება მოიპოვეს მინსკის „დინამომ" და დუშანბეს „პამირმა".



ბელგიისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი, რომელიც ბრიუსელში შედგა, დამთავრდა ბელგიელ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 1:0.

აფრიკაში დამთავრდა კონტინენტის ჩემპიონატი ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის. ზედიზედ მეორედ წელია იმარჯვებენ ნიგერიელი ჭაბუკები, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს მალის თანატოლები.

საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

**ჩეხოსლოვაკია**

**27-ე ტური.** „დუნაისკა სტრედა" — „ნიტრა" 1:0, „შკოდა" — „ვიტკოვიცე" 1:0, „ბანიკი" — „რუდა ჰვეზდა" 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სპარტა" | 25 | 64-20 | 39 |
| „ბანიკი" | 27 | 45-28 | 38 |
| „ნიტრა" | 27 | 33-34 | 30 |

**რუმინეთი**

**27-ე ტური.** „სპორტული" — „ჰუნედოარე" 5:1, „ბიხორი"(?) — „სტიაუა" 0:3, „ორადეა" — „კონსტანცა" 2:0, „ბაკაუ" — „მორენი" 1:0, „არჯესი" — „ბრაშოვი" 0:0, „კლუჟი" — „დინამო" 0:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სტიაუა" | 26 | 93-24 | 50 |
| „დინამო" | 27 | 104-23 | 49 |
| „ვიქტორია" | 26 | 66-35 | 40 |

**საფრანგეთი**

**37-ე ტური.** „ნანტი" — „კანი" 1:1, „მეცი" — „მონაკო" 0:3, „ბორდო" — „კაენი" 2:3, „ლანი" — „სენ-ჟერმენი" 0:0, „ლავალი" — „ტულონი" 0:0, „მარსელი" — „ოსერი" 2:1, „რესინგი" — „ლილი" 1:1, „სტრასბურგი" — „ტულუზა" 4:1, „ნიცა" — „სოშო" 3:2, „სენტ ეტიენი" — „მონპელიე" 1:0. „ოლიმპიკი" ერთი ტურით ადრე ჩემპიონი გახდა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ოლიმპ." (მარს.) | 37 | 56-34 | 73 |
| „პარი სენ ჟერმენი" | 37 | 43-24 | 69 |
| „მონაკო" | 37 | 57-36 | 65 |

**უნგრეთი**

**26-ე ტური.** „დოჟა უიპეშტი" — „სომბათჰეი" 2:1, „ფერენცვაროში" — „ტატაბანია" 0:0 (10:9), „ვესპრემი" — „პეჩი" 1:0, „სიოფოკი" — „ბეკეჩაბა" 4:3, „ვაშაში" — „რაბა ეტო" 2:0, „ვაცი" — მტკ 1:1 (2:4), „დუნაივაროში" — „ჰონვედი" 1:1 (6:5), „შეკეშფეჰერვარი" — „ზალაეგერსზეგი" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჰონვედი" | 26 | 35-24 | 52 |
| „შეკეშფეჰერვარი" | 26 | 53-28 | 51 |
| „ფერენცვაროში" | 26 | 37-28 | 48 |

**შვეცია**

**მე-5 ტური.** „ერგრიუტე" — „ფრელუნდა" 0:0, „იურგორდენი" „აიკი" 0:0, „მალმიო" — „ჰალმსტადი" 2:0, „სუნდსვალი" — „ბრაგე" 2:3, „ერებრუ" — „ნორჩეპინგი" 0:2, „იფკ გიოტებორგი" — „გაისი" 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ერგრიუტე" | 5 | 8-6 | 7 |
| „გაისი" | 5 | 6-4 | 7 |
| „იფკ გიოტებორგი" | 5 | 11-5 | 6 |

**ბელგია**

**34-ე ტური.** „ლიერსი" — „ვარეგემი" 0:0, „ანტვერპენი" — „სტანდარდი" 2:0, „მეჰელენი" — „ბევერენი" 2:1, „ანდერლეხტი" — „სერკლი" 4:2, „სენტ ტრუდენი" — „გენკი" 0:0, „ბრიუგე" — „მოლენბეკი" 4:3, „ლოკერენი" — „რესინგი" 2:3, „ლიეჟი" — „ბერსკოტი" 6:1, „კორტრიკი" — „შარლერუა" 2:2. ჩემპიონი გახდა „მეჰელენი".

| | | | |
|---|---|---|---|
| „მეჰელენი" | 34 | 60-17 | 57 |
| „ანდერლეხტი" | 34 | 83-36 | 53 |
| „ლიეჟი" | 34 | 64-22 | 26 |

**ავსტრია**

**ფინალური ტურნირი.** ვიენა — ადმირა 3:1, „სენტ პოლტენი" — „რაპიდი" 1:2, „ავსტრია" — „ტიროლი" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ტიროლი" | 32 | 58-33 | 34 |
| „ავსტრია" | 32 | 67-39 | 26 |
| „ადმირა" | 32 | 64-45 | 26 |

**შოტლანდია**

**38-ე ტური.** „დანდი იუნაიტედი" — „ჰამილტონი" 0:1, „ჰიბერნიანი" — „დანდი" 1:1, „მოზერეული" — „ჰართსი" 1:1, „სენტ მირენი" — „სელტიკი" 0:1, „რეინჯერსი" — „აბერდინი" 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეინჯერსი" | 36 | 62-25 | 56 |
| „აბერდინი" | 36 | 51-25 | 50 |
| „სელტიკი" | 36 | 66-44 | 46 |

**დანია**

**მე-6 ტური.** „იკასტი" — „ოდენსე 1913" 1:1, „ნესტვედი" — „ლუნგბიუ" 1:1, „ბრონშოი" — „ვეილე" 0:1, „ფრამი" — „ბრონდბიუ" 1:2, „1903 კოპენჰაგენი" — „ჰერფოლგე" 2:0, „ბკ. ოდენსე" — „ალბორგი" 2:0, „ორჰუსი" — „სილკებორგი" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბრონდბიუ" | 6 | 15-3 | 11 |
| „ლუნგბიუ" | 6 | 8-2 | 10 |
| „ბკ ოდენსე" | 6 | 7-5 | 8 |

**ინგლისი**

**38-ე ტური.** „არსენალი" — „დერბი" 1:2, „ასტონ ვილა" — „კოვენტრი" 1:1, „ევერტონი" — „ვესთ ჰემი" 3:1, „ლუთონი" — „ნორვიჩი" 1:0, „მანჩესტერი" — „ნიუკასლი" 2:0, „მილუოლი" — „საუთჰემპტონი" 1:1, „ნოტინგემი" — „ჩარლტონი" 4:0, „ქუინს პარკი" — „ტოტენჰემი" 1:0, „შეფილდი" — „მიდლსბრო" 1:0, „უიმბლდონი" — „ლივერპული" 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლივერპული" | 36 | 60-25 | 73 |
| „არსენალი" | 37 | 71-36 | 73 |
| „ნოტინგემი" | 37 | 63-41 | 64 |

**არგენტინა**

**36-ე ტური.** „არგენტინოს ხუნიორსი" — „სან მარტინი" 0:1, „დეპორტივო მანდიუ" — „დეპორტივო ესპანიოლი" 1:2, „ტალერესი" — „ველეზ სარსფილდი" 0:0 (4:5), „როსარიო სენტრალი" — „რივერ პლეიტი" 1:1 (2:4), „ესტუდიანტესი" — „დეპორტივო არმენიო" 3:1, „ინდეპენდიენტე" — „რესინგი" (ბუენოს-აირესი) 0:0 (4:1), „პლატენსე" — „გიმნასია ესგრიმა" 2:0, „ბოკა ხუნიორსი" — „ნეველს ოლდ ბოისი" 6:3, „სან ლორენსო" — „ინსტიტუტო კორდობა" 2:1, „რესინგი კორდობა" — „ფეროკარილ ოესტე" 3:2.

| | | |
|---|---|---|
| „ინდეპენდიენტე" | 36 | 78 |
| „ბოკა ხუნიორსი" | 36 | 72 |
| „დეპორტივო ესპანიოლი" | 36 | 66 |

(საქ. ინფ.)

# „ასეთი ვუნდერკინდი საჭადრაკო სამყაროს არ ახსოვს“

**ესპანეთის** ქალაქ სალამანკის უნივერსიტეტი დაახლოებით ხუთ საუკუნეს ითვლის და ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. მისმა ხელმძღვანელობამ თავის მრავალფეროვან ღონისძიებათა კულტურულ პროგრამაში მესამე წელია ჭადრაკიც შეიტანა და საერთაშორისო ტურნირების ჩატარება ტრადიციად დაამკვიდრა.

არაერთ ქვეყანაში მიმიღია საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა და დიდი ყურადღებით ვადევნებ თვალს აგრეთვე სხვა ტურნირების მიმდინარეობასაც, ამიტომ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ სალამანკის უნივერსიტეტი მსოფლიოში ერთადერთია, რომელმაც საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირების ჩატარება ტრადიციად აქცია და ტურნირის დახურვაზე უნივერსიტეტის რექტორმა სპეციალურად აღნიშნა, რომ ეს ტრადიცია მომავალშიც გაგრძელდება.

წლევანდელმა III საერთაშორისო ტურნირმა მეტად საინტერესო შემადგენლობას მოუყარა თავი. შვიდი ქვეყნის 12 მოჭადრაკეს შორის ყველაზე საპატიო სტუმრებად უნგრელი მოჭადრაკე გოგონები, თანამედროვეობის უდიდესი ვარსკვლავი თორმეტი წლის იუდიტ პოლგარი და მისი უფროსი და 19 წლის ჟუჟა ითვლებოდნენ.

გასული წლის საჭადრაკო ოლიმპიადის შემდეგ, სადაც უნგრეთის ქალთა ნაკრებს, რომლის შემადგენლობაში დები პოლგარები შედიოდნენ, პირველი ადგილი დაიკავა, მათგან უმცრომა — იუდიტმა კი, რომელიც მეორე დაფაზე თამაშობდა, ოლიმპიადის საუკეთესო შედეგი აჩვენა და მსოფლიო პრესაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

ოლიმპიადის შემდეგ იუდიტმა თავის საჭადრაკო ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაიწერა — გაიმარჯვა ჰასტინგსის დიდი საჭადრაკო ფესტივალის „ბ“ ტურნირში და უფლება მოიპოვა 1989 წლის დასასრულს ამ ტრადიციული ფესტივალის „მთავარ ტურნირში“ მიიღოს მონაწილეობა. ჰასტინგსის ტურნირს მოჰყვა მისი ბრწყინვალე თამაში ნიუ-იორკის პრესტიჟულ ტურნირში, ამ წარმატებების შემდეგ იუდიტის საჭადრაკო კოეფიციენტი ოფიციალურად ჯერჯერობით 2555 ქულას შეადგენს და საუკეთესოა ქალთა ჭადრაკში (მინდა ხაზი გავუსვა, რომ ამ ასაკში ასეთი კოეფიციენტი არცერთ მამაკაცსაც კი არ ჰქონია). ეს კი ნიშნავს იუდიტის ექსტრაკლასის მოჭადრაკედ აღიარებას. სალამანკის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც IX კატეგორიას მიეკუთვნებოდა,



მარცხნიდან: ლასლო პოლგარი, დათო გიორგაძე, იუდიტ პოლგარი, ჟუჟა პოლგარი და თამაზ გიორგაძე.

იუდიტი ერთ-ერთ ფავორიტად ჩამოვიდა ჯერ ერთი თავისი უკანასკნელი წარმატებების გამო და მეორეც, რაც მთავარია, მას ჰქონდა ტურნირის ყველა მონაწილეზე უმაღლესი კოეფიციენტი.

რაც შეეხება იუდიტის უფროს დას ჟუჟა პოლგარს, მისი შედეგები სტაბილურია. მართალია მას არა აქვს ისეთი დიდი წარმატებები, როგორც უმცროს დას, მაგრამ ასევე ძალზე ძნელია მისი რომელიმე უფერული შედეგის გახსენება. ასე რომ, პოლგარების ამ ტურნირში თამაში დიდ ინტერესს იწვევდა.

მათ გარდა სალამანკაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი ვიყავით ამერიკელი დიდოსტატი სერგეი კუდრინი. საერთაშორისო ოსტატები დარკუ ლიმა (ბრაზილია), ჟილდარდო გარსია (კოლუმბია), ზენონ ფრანკო (პარაგვაი), ხუთი ესპანელი მოჭადრაკე, დიდოსტატი მანუელ რივასი, საერთაშორისო ოსტატები ხესუს დე ლა-ვილა, მარიო გომესი, ხავიერ სანცი და მარსელინო სიონი, აგრეთვე ამ წერილის ავტორი.

თითქმის ერთი წელია არ მიმიღია ტურნირებში მონაწილეობა ჩემი მოუცლელობის გამო და აქ თამაშზეც თავს ვიკავებდი, მაგრამ ორგანიზატორთა თხოვნისა (მათ აუცილებლად სჭირდებოდათ მესამე დიდოსტატი, რომ ტურნირში დიდოსტატის ნორმა ყოფილიყო დაწესებული) და ესპანეთის ჭადრაკის ფედერაციის ჩარევის შემდეგ, დავთანხმდი.

ესპანეთში უკანასკნელ წლებში ჭადრაკი დიდი პოპულარობით სარგებლობს. აქ კარგად ახსოვთ კასპაროვ-კარპოვის სევილიის მატჩი. ორივეს პოპულარობა დიდია ამ ქვეყანაში. მაგრამ იუდიტ პოლგარი მათ შემდეგ საერთო

| № | მონაწილენი | რეიტინგი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | ქულა | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | თამაზ გიორგაძე (სსრ კავშირი) | 2510 | | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | 7½ | I-III |
| 2 | მანუელ რივასი (ესპანეთი) | 2505 | ½ | | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | 0 | 7½ | I-III |
| 3 | სერგეი კუდრინი (აშშ) | 2550 | ½ | ½ | | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | ½ | 7½ | I-III |
| 4 | ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი) | 2510 | ½ | ½ | ½ | | 0 | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 7 | IV |
| 5 | ხესუს დე ლა-ვილა (ესპანეთი) | 2430 | 0 | 0 | ½ | 1 | | ½ | 1 | ½ | ½ | 1 | ½ | ½ | 6 | V-VI |
| 6 | დარკუ ლიმა (ბრაზილია) | 2385 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | | 0 | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | 6 | V-VI |
| 7 | ზენონ ფრანკო (პარაგვაი) | 2490 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | | 1 | 1 | 1 | ½ | 1 | 5½ | VII-VIII |
| 8 | ხავიერ სანცი (ესპანეთი) | 2420 | ½ | ½ | 0 | ½ | ½ | ½ | 0 | | ½ | 1 | ½ | 1 | 5½ | VII-VIII |
| 9 | მარიო გომესი (ესპანეთი) | 2460 | 0 | 0 | ½ | 0 | ½ | ½ | 0 | ½ | | 0 | ½ | 1 | 3½ | IX-XI |
| 10 | ჟილდარდო გარსია (კოლუმბია) | 2430 | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | | 1 | 1 | 3½ | IX-XI |
| 11 | მარსელინო სიონი (ესპანეთი) | 2315 | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | ½ | ½ | 0 | | 1 | 3½ | IX-XI |
| 12 | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 2555 | ½ | 1 | ½ | ½ | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | | 3 | XII |

აღიარებით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ამიტომაც იყო, რომ ორგანიზატორებმა (რომლებსაც საპრიზო ფონდად 9 ათასი დოლარი ჰქონდათ გამოყოფილი) პოლგარებს ტურნირში მონაწილეობისათვის 8 ათასი დოლარი გადაუხადეს. თუ კი ამას დავუმატებთ მათი მამისთვის გაღებულ ყველა ხარჯებს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ პოლგარების მოწვევა ორგანიზატორებს საკმაოდ ძვირი დაუჯდათ.

ტურნირის დასაწყისმა აჩვენა, რომ ფავორიტი (ამის თქმაც კი მიჭირს 12 წლის გოგონაზე) ცუდ ფორმაში იყო. რამოდენიმე ტურის შემდეგ გაირკვა, რომ იუდიტი საკმაოდ გადაღლილია და ამ ტურნირს კარგად ვერ ითამაშებდა. ის მოწინააღმდეგეთა ტაქტიკურ მუქარებს კარგად ვერ აღიქვამდა და პარტიას პარტიაზე აგებდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ მისმა საბოლოო შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მან მხოლოდ უკანასკნელ ტურში შეძლო ერთადერთი პარტიის მოგება, მაგრამ ბოლო ადგილს თავი მაინც ვერ დააღწია და, რაც მთავარია, ამ ტურნირში თავის კოეფიციენტს 40 ქულა „ჩამოაჭრა“.

ბრძოლა პირველი ადგილისათვის ფაქტიურად ჩემსა და ესპანელ დიდოსტატ რივასს შორის მიმდინარეობდა. ტურნირი კარგად დავიწყე — პირველ ტურში შავებით დავამარცხე ესპანეთის ჩემპიონი გომესი, მესამეში კი ასევე შავებით ესპანეთის ჩემპიონი დე-ლა-ვილა, სამწუხაროდ მეორე ტურში ვერ გამოვიყენე დიდი უპირატესობა ამერიკელ კუდრინთან. ასევე, 2,5 ქულით სამი პარტიიდან დაიწყო ტურნირი რივასმაც. შემდეგ დღეებშიც საიმედოდ ვთამაშობდი. ფაქტიურად არცერთ პარტიაში არ მქონია უარესი პოზიცია, ოთხ პარტიაში გავიმარჯვე და შვიდი პარტია ყაიმით დავამთავრე. საბოლოოდ 7,5 ქულით თერთმეტი შესაძლებლიდან I-III ადგილები გავიყავი (უკანასკნელი ორი პარტიის მოგებით მე და რივასს წამოგვეწია კუდრინი). შვიდი ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა ჟუჟა პოლგარმა.

ჩემი პარტიების ხარისხით კმაყოფილი ვარ, თუმცა შეიძლებოდა უკეთესი შედეგის მიღწევაც.

ვფიქრობ, გარდა ჩემი შედეგისა ქართველ ჭადრაკის მოყვარულებს აინტერესებთ ჩემი აზრი პოლგარებზე, იმუქრება თუ არა რომელიმე მათგანი, რომ ქალთა საჭადრაკო გვირგვინს „გაიტაცებს“ საქართველოდან და რამდენად არის ეს რეალური? პოლგარების ოჯახზე საუბარი ცალკე თემაა. ამ თემას შევეცდები ცალკე დავუბრუნდე. ახლა კი მინდა დავამშვიდო ქართველი ჭადრაკის მოყვარულები. მათ მამასთან ლასლოსთან და სამივე დასთან საუბრიდან აშკარად ჩანს; რომ ისინი ქალთა ჭადრაკზე არც კი ფიქრობენ და მხოლოდ მამაკაცებთან პაექრობა აინტერესებთ. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მათი ძალა უდავოდ ანგარიშგასაწევია. ვიმეორებ, ამ ასაკში არცერთი დიდი მოჭადრაკე (კასპაროვი, კარპოვი, ფიშერი და სხვა) იუდიტზე ძლიერი არ ყოფილა. თუმცა პოტენცია მომავალ რეალობას ჯერ კიდევ არ ნიშნავს და ძნელი სათქმელია, რას შეძლებს იუდიტი მომავალში მამაკაცებთან პაექრობაში. ერთი რამ კი უნდა ითქვას — ასეთი ვუნდერკინდი საჭადრაკო სამყაროს არ ახსოვს.

**თამაზ გიორგაძე,**
**საერთაშორისო დიდოსტატი.**
**სალამანკა.**

(წერილი მიღებულია ესპანეთიდან).

# სპორტული ივნისი

**3-4. ათლეტიზმი.** ღია რესპუბლიკური ტურნირი „ოქროს საწმისი“. თავისუფალი ვარჯიში. **თბილისი.**

**3-4. მძლეოსნობა.** საქართველოს პირველობა 1972 წელს დაბადებულ სპორტსმენთა შორის. **თბილისი.**

**3-9. კალათბურთი.** რესპუბლიკური ფესტივალი მინიკალათბურთში. 1977-78 წლებში დაბადებულ მოზარდებს შორის. **თბილისი.**

**6-9. მშვილდოსნობა.** საქართველოს პირველობა 1968 და მომდევნო წლებში დაბადებულ გოგონათა და ვაჟთა შორის. **ბათუმი.**

**7-11. ხელბურთი.** რესპუბლიკური შეჯიბრება „სწრაფი ბურთის“ კლუბის პრიზზე 1975-76 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **თელავი.**

**9-11. სასტენდო სროლა.** საქართველოს ჩემპიონატი. **თბილისი.**

**10-12. ქართული ჭიდაობა.** საქართველოს პირად-გუნდური პირველობა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებასა და უწყებათა შორის. **მესტია.**

**15-20. წყალში ხტომა.** საქართველოს ჩემპიონატი 1970 და მომდევნო წლებში დაბადებულ გოგონათა და ვაჟთა შორის. **თბილისი.**

**16-18. მძლეოსნობა.** საქართველოს ღია ჩემპიონატი და რესპუბლიკის პირველობა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების 1972-75 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის. **თბილისი.**

**16-18. საზანძრო-გამოყენებითი სპორტი.** საქართველოს ჩემპიონატი. **სამტრედია.**

**17-18. კლასიკური ჭიდაობა.** საქართველოს თასის გათამაშება მოზრდილთა და 1972-73 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ქუთაისი.**

**18-22. სამთო-სათხილამურო სპორტი.** ბ. კახიანის მემორიალი უფროსი ასაკისა და მოზარდ სპორტსმენთა შორის. **მესტია.**

**20-23. ფრენბურთი.** საქართველოს თასის გათამაშება საპლაჟო ფრენბურთში. **ბათუმი.**

**20-25. ფრენბურთი.** საკავშირო შეჯიბრება. **თბილისი.**

**21-23. ბატუტზე ხტომა.** რესპუბლიკური შეჯიბრება 1971-74 წლებში დაბადებულ გოგონათა და ვაჟთა შორის. **ბათუმი.**

**21-25. ხელბურთი.** რესპუბლიკური შეჯიბრება „სწრაფი ბურთის“ კლუბის პრიზზე 1975-76 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის. **წყალტუბო.**

**22-24. მხატვრული ტანვარჯიში.** საქართველოს პირველობა 1972-76 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის. **ბათუმი.**

**24-25. მძლეოსნობა.** საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ზონალური რესპუბლიკური შეჯიბრება. **თბილისი.**

**27-29. აკრობატიკა.** რესპუბლიკური შეჯიბრება 1968 და მომდევნო წლებში დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. **ბათუმი.**

**26. VI — 7. VII. შაში.** საქართველოს ღია ჩემპიონატი ქალთა და ვაჟთა შორის რუსულ შაშში. **ოზურგეთი.**

# ველორბოლის ტრეკზე

**რომი.** „ჯირო დ' იტალიას“ მონაწილეებს ყველაზე ძნელი გამოცდა მეათე ეტაპზე ელოდათ. დაყოფილი სტარტით რბოლა მონაწილეებისგან, როგორც წესი, დიდ ფიზიკურ ძალასა და გამძლეობას მოითხოვს. 36,8 კილომეტრიანი მონაკვეთი ყველაზე უკეთ მშვიდობის 1985 წლის ველორბოლაში გამარჯვებულმა პოლონელმა ლეხ პიასეცკიმ გაიარა — 48.26, მან 25 წამით აჯობა მეორე ადგილზე გასულ ჰოლანდიელს ერიკ ბრეკინკს, რომელიც ლიდერის ყვითელ მაისურს დაეპატრონა.

შესამჩნევად გამოაკეთეს მდგომარეობა საბჭოთა ველოსიპედისტებმა, რომლებიც პროფესიული გუნდის „ალფა ლიუმის“ ღირსებას იცავენ. პიოტრ უგრიუმოვმა ეტაპზე მეექვსე შედეგი აჩვენა და რამდენიმე საფეხურით წინ გადაინაცვლა. ახლა იგი მეოთხე ადგილზეა და მხოლოდ 4 წამს აგებს მესამე ადგილზე მყოფ ლორან ფინიონთან (ფრანგი ველოსიპედისტი ორჯერ იყო „ტურ დე ფრანსის“ ჩემპიონი). სამი საფეხურით დაწინაურდა ვლადიმერ პულნიკოვიც. ახლა იგი საერთო ჯამში მეჩვიდმეტეა.

**ოსლო.** აქ მიმდინარე ქალთა მრავალდღიან საერთაშორისო ველორბოლაში სამი ეტაპის შემდეგ დაწინაურდა ჰოლანდიელი მონიკა კნოლი, რომელმაც ამასთან მესამე ეტაპიც მოიგო. საბჭოთა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს პირველ ეტაპზე (მეორე გუნდური ადგილი დაიკავეს), მერე კი შეწყვიტეს აქტიური ბრძოლა და უძლიერესთა ათეულში ვერ მოხვდნენ.

# გალისი მაინც გალისია

**დორტმუნდი.** აქ გამართულ კალათბურთელთა დიდ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვება მოიპოვა სეულის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა იუგოსლავიის ნაკრებმა, რომელმაც ფინალში იტალიის გუნდი დაამარცხა—103:85 (50:41). მართალია იუგოსლავიელთა შორის არ გამოდიოდნენ წამყვანი კალათბურთელები, გუნდმა მზარდი ოსტატობა და კარგი საბრძოლო თვისებები გამოამჟღავნა.

მესამე ადგილისთვის მატჩში ევროპის ჩემპიონმა — საბერძნეთის ნაკრებმა გფრ-ის გუნდი დაამარცხა — 98:81 (42:40). როგორც ყოველთვის სნაიპერული სროლებით გამოიჩინა თავი ბერძნების ლიდერმა — გალისმა, რომელმაც თავის კოლექტივს 34 ქულა შესძინა.

სსრ კავშირის მეორე ნაკრებს მეექვსე ადგილი ხვდა. ბოლო შეხვედრა მან წააგო ფრანგებთან — 108:118 (58:58).

## სტენლი როუზის თასზე

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის სტენლი როუზის თასის გათამაშების ცენტრალური მატჩი შედგა გლაზგოში. შოტლანდიელმა ფეხბურთელებმა აქ მიიღეს ინგლისის ნაკრები.

ინგლისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0, ბურთები გაიტანეს უოდლმა და ბულიმ.

რა თქმა უნდა, ტრიბუნებზე ტრადიციული უწესრიგობა სუფევდა, პოლიციამ დააპატიმრა 250 ხულიგანი გულშემატკივარი.

## „სპორტპროგნოზი“

**კალათბურთში ვაჟთა შორის ევროპის ჩემპიონატის თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის პროგრამა**

**(იუგოსლავია, 20-24 ივნისი)**

**20 ივნისი.**
1. საფრანგეთი — ბულგარეთი
2. ჰოლანდია — ესპანეთი
3. იტალია — სსრ კავშირი
4. იუგოსლავია — საბერძნეთი

**21 ივნისი.**
5. სსრ კავშირი — ჰოლანდია
6. საბერძნეთი — საფრანგეთი
7. ბულგარეთი — იუგოსლავია
8. ესპანეთი — იტალია

**22 ივნისი**
9. საბერძნეთი — ბულგარეთი
10. ჰოლანდია — იტალია
11. საფრანგეთი— იუგოსლავია
12. სსრ კავშირი — ესპანეთი

**24 ივნისი.**
13. „ა“ ჯგუფში პირველ ადგილზე გასული გუნდი — „ბ“ ჯგუფში მეორე ადგილზე გასული გუნდი.

**შენიშვნები:** 1. „ა“ ჯგუფი: ჰოლანდია, იტალია, სსრ კავშირი, ესპანეთი; „ბ“ ჯგუფი: საფრანგეთი, იუგოსლავია, საბერძნეთი, ბულგარეთი.

2. მხედველობაში მიიღება თამაშის ძირითადი დროის შედეგი.

3. ტირაჟის ნომრის ნაცვლად შესაბამის უჯრედებში უნდა ჩაიწეროს „БМ“.

4. სპეცტირაჟის ბილეთები მიიღება „სპორტპროგნოზის“ 25-ე ტირაჟის ბილეთების მიღების ვადებში.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

ინდექსი 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 07153